



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 017/15 გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

ლილი ნოდია (სტუდენტი)

შეკითხვა

ადვოკატი წარმოადგენს კლიენტს სასამართლოში. დასკვნითი სიტყვის წარმოთქმის წინ, ადვოკატი ობიექტურად ვერ ახერხებს დაუკავშირდეს კლიენტს, რათა შეიტყოს მისგან ინფორმაცია, სურს თუ არა მას ადვოკატი დასკვნითი სიტყვით წარდგეს სასამართლოს წინაშე. კლიენტს ადვოკატისათვის ამ ქმედების გახორციელება პირდაპირ არ აუკრძალავს, თუმცა, ადვოკატი ფიქრობს, რომ სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით პროცესის გადადების თაობაზე. როგორ უნდა მოიქცეს ადვოკატი?

ანალიზი

ადვოკატმა საქმის წარმოებისას კლიენტს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე, რაც მოიცავს სრული ინფორმაციის დროულად მიწოდებას. კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდება საშუალებას აძლევს მას, რომ ჩართული იყოს საქმის მსვლელობის პროცესში. კლიენტის მიერ ადვოკატისათვის რწმუნებულებით უფლებამოსილების მინიჭების მიუხედავად, ადვოკატი ვალდებულია კლიენტთან შეათანხმოს საქმის წარმოებისას მის მიერ განსახორციელებელი მოქმედებები. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან ობიექტურად ვერ ახერხებს დაუკავშირდეს კლიენტს და შეათანხმოს მასთან განსახორციელებელი მოქმედება, ადვოკატმა, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, უნდა შეაფასოს საქმის ვითარება, გაითვალისწინოს კლიენტის უკვე არსებული მითითებები და იმოქმედოს კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპის გათვალისწინებით. თუ ადვოკატი ფიქრობს, რომ, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, უმჯობესია სხდომის გადადება და ეს ხელს შეუწყობს კლიენტთან დაკავშირებასაც, მან უნდა მიმართოს შესაბამისი შუამდგომლობით სასამართლოს, ხოლო შუამდგომლობის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, იმოქმედოს კლიენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე.

დასკვნა

იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი ობიექტურად ვერ უკავშირდება კლიენტს კონკრეტული პროცედურული მოქმედების შესრულების საკითხის შესათანხმებლად და მისგან არ აქვს მიღებული ამ მოქმედების შეუსრულებლობის მითითება, ადვოკატმა უნდა იმოქმედოს, კონკრეტული საქმის გარემოებების მიხედვით, კლიენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე.